# ჩემპიონებს ბადალი არ ჰყავთ

როტერდამი, 19 სექტემბერი. დღეს აქ დამთავრდა ევროპის კალათბურთელ ქალთა XII ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდები (ფრანგებმა წინადღეს დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ბულგარელებს — 69:64).

ფინალურმა მატჩმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კალათბურთელებს ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში. ევროპის ჩემპიონთა უპირატესობა იმდენად აშკარა და დამაჯერებელი იყო, რომ ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 94:33 (46:16). ამ დღეს საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ზახაროვა — 16 ქულა, გუსევა—15, შვეცოვა — 12.

ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ბულგარეთის გუნდები. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 77:66.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვისას საბჭოთა გუნდის წევრებს ლ. ბუზჩიკოვას, ტ. კაბაევას, ვ. დმიტრიევას, ლ. გუსევას, ლ. ბაზარევიჩს, გ. ვორონინას, ლ. კრისტიანიკოვას, ლ. შვეცოვას, ნ. ზახაროვას, ზ. ჩერნიკოვას, უ. სემიონოვასა და ნ. ბილმაიერს გადაეცათ გარდამავალი თასი და ოქროს მედლები.

• • •



სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები—ევროპის ჩემპიონი. სხედან (მარცხნიდან) — ზ. ჩერნიკოვა, ნ. ბილმაიერი, უ. სემიონოვა, ლ. კრისტიანიკოვა, ლ. შვეცოვა, გ. ვორონინა; დგანან—ვ. კოლპაკოვი (მწვრთნელი), ლ. ბაზარევიჩი, ი. კოჩერგინა, ვ. დმიტრიევა, ლ. გუსევა, ლ. ბუზჩიკოვა, ნ. ზახაროვა, ტ. კაბაევა და ლ. ალექსეევა (უფროსი მწვრთნელი).

აას-ის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 186 (4180)

1970 წ. 22 სექტემბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# ხმლით მოპოვებული ოქრო

ანკარა, 20 სექტემბერი. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა ესპადრონისტებმა, რომლებმაც დღეს გამართული გუნდური შეჯიბრების ფინალურ მატჩში ანგარიშით 9:3 სძლიეს უნგრელებს.

ეს გამარჯვება გამოჭედეს ვ. ნაზლიმოვმა, ე. ვინოკუროვმა, ვ. სიდიაკმა (2-2 მოგება) და მ. რაკიტამ (3).

III ადგილზე გავიდა პოლონეთის ნაკრები, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში აჯობა იტალიელებს — 9:4.



სურათზე: მოსკოველი რაპირისტი გ. გოროხოვა, რომელმაც ხუთწლიანი „შესვენების“ შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

საკდესის ფოტო.

## რეკორდი

რიგა. რიგის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პირველობაში ლატვიის ტელევიზიის პრიზზე უკონკურსოდ იასპარეზა თბილისის დინამოელმა, ათჭიდში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. დიაჩკოვმა. მისი გამოსვლა საქართველოს ახალი რეკორდით აღინიშნა — 110 მეტრზე თარჯრბენში დიაჩკოვმა 14,1 წამი აჩვენა. ეს შედეგი სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება.

ძველი რეკორდი (14,2) 1961 წელს დაამყარა ბათუმის დინამოელმა მ. ტულუშმა.



# ტალტსი „იცავს თავის წოდებას“

კოლუმბუსში (აშშ) ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა კ. ჯონსონმა (აშშ) და გენერალურმა მდივანმა ს. სტეიტმა (დიდი ბრიტანეთი) არნახული თვითნებობა ჩაიდინეს: კანონიერ მსოფლიო ჩემპიონს, საბჭოთა ათლეტ ი. ტალტსს ეს მაღალი წოდება ჩამოართვეს. მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს ამერიკელი რ. ბედნარსკი.

ჩვენ არ ვიცით, უსწავლიათ თუ არა ჯონსონსა და სტეიტს ლოგიკა, მაგრამ მათი მსჯელობა ლოგიკასთან რომ მწყრალადაა, ეს აშკარად ჩანს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხომ თვითონ ფედერაციის თავკაცები აძლევდნენ ხმას ტალტსის კანდიდატურას მსოფლიო ჩემპიონობას ვარშავაში. პოლონეთში სტეიტმა თავად, რუსულ ენაზე გამოაცხადა ტალტსი მსოფლიო ჩემპიონად (სტეიტი რამდენიმე უცხო ენას ფლობს) და, ამასთან, საკმაოდ აღტაცებული ტონით. თუ წინააღმდეგი იყო საბჭოთა ათლეტის კანდიდატურისა, სტეიტი ასე არ მოიქცეოდა.

კოლუმბუსში გათამაშებული ფარსი ჯონსონს, სტეიტსა და მათს ამფსონებს იმისთვის დასჭირდათ, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა მიეყენებინათ საბჭოთა ათლეტისთვის და უმაღლესი კვარცხლბეკისკენ ბედნარსკისთვის გაეხსნათ გზა.

და აი, შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს, 19 სექტემბერს, ფიცარნაგზე გამოვიდნენ მძიმე წონის ათლეტები. გასაგებია გამარჯვების ის დიდი წყურვილი, რომლითაც იბრძოდა ტალტსი. საერთოდ ამ შესანიშნავი ესტონელი ათლეტის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ის გახლავთ, რომ იგი უაღრესად გამიზნულად იბრძვის. ამ შესანიშნავ თვისებას ტალტსმა არც ამჯერად უღალატა. 26 წლის ტალინელმა სამჭიდში 565 კგ დააგროვა, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა: 200 კგ აჭიმა. ამას გარდა, თავისივე მსოფლიო რეკორდს სამჭიდში ტალტსმა 2,5 კგ დაუმატა. მან ვერცხლის მცირე მედალი მოიპოვა ატაცში (155 კგ) და ყველას აჯობა აკვრაში — 210 კგ.

II ადგილზე გავიდა 19 წლის ბულგარელი ძალოსანი ა. კრაიჩევი. ამ ნიჭიერმა ათლეტმა თავისებური რეკორდი დაამყარა: იუნიორთა შორის მსოფლიო რეკორდებით დაამთავრა შეჯიბრება აჭიმვაში (187,5 კგ), ატაცსა (152,5) და სამჭიდში (535), ამას გარდა, გაიმეორა თავისივე მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 195 კგ.

ბედნარსკი? ამერიკელი III ადგილზე გავიდა და ტალტსთან 35 კგ წააგო.

ნიშანდობლივია, რომ ტალტსის წარმატების შემდეგ საზღვარგარეთის სააგენტოების ბევრი მიმომხილველი ტალტსს უწოდებდა „ჩემპიონს, რომელიც თავის წოდებას იცავს“. ამით ისინი აღიარებდნენ, რომ სპორტში ღირებულია გამარჯვება, რომელსაც მოიპოვებ ფიცარნაგზე პატიოსანი ბრძოლით და არა კენჭისყრით.

შეჯიბრების ბოლო დღეს, 20 სექტემბერს, ასპარეზობდნენ ზემძიმე წონის ათლეტები. მსოფლიო რეკორდსმენს ვ. ალექსეევს საშუალება მიეცა თავისი მოკრძალებული ჯილდოების რიცხვისთვის პირველად მიემატებინა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა გოლიათის გამარჯვება საკმაოდ დამაჯერებელი გახლდათ. სამჭიდში მან 612,5 კგ დააგროვა და თავისივე მსოფლიო რეკორდი გაიმეორა, ამასთან, გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 228 კგ დაძლია.

II ადგილზე გავიდა ბელგიელი ბიბლიოთეკარი ს. რედინგი — 590 კგ. ბრინჯაო წილად ხვდა ფინელ კ. ლაჰდენრანტას — 577,5 კგ.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა ათლეტების ნამდვილი ტრიუმფით დამთავრდა. 9 წონითი კატეგორიიდან ხუთში ჩემპიონები გახდნენ სწორედ საბჭოთა ძალოსნები — ვ. კურენცოვი, გ. ივანჩენკო, ვ. კოლოტოვი, ი. ტალტსი და ვ. ალექსეევი. ბრინჯაო მოიხვეჭა დ. რიგერტმა (საშუალო წონა). საბჭოთა ძალოსნებმა გუნდურ ჩათვლაში 39 ქულა დააგროვეს და ბევრად გაუსწრეს დანარჩენ მეტოქეებს.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან): ვ. კოლოტოვი, ი. ტალტსი და ვ. ალექსეევი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19 45

◆ ჟენევა, 21 სექტემბერი. მოსკოვიდან დაბრუნებულმა „ბაზელმა“ შვეიცარიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ბიენთან“ ფრედ დაამთავრა — 1:1. ბაზელელები წაგებას გადაარჩინა ნახევარმცველმა რაიშმა, რომელმაც 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით მეტოქის კარში საპასუხო გოლი გაიტანა. 7 ტურის შემდეგ 10 ქულით ლიდერობს „ბაზელი“.

◆ ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. რობერტ კენედის სახელობის სტადიონზე გამართულ საჩვენებელ მატჩს 17 ათასი მაყურებელი დაესწრო — ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „სანტოსისა“ და „ვაშინგტონელი ისრების“ ფეხბურთელები. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს სტუმრებმა — 7:4 ისევ გამოიჩინა თავი პელემ: მან 4 ბურთი მოათავსა ვაშინგტონელთა კარის ბადეში, ხოლო დანარჩენი გოლებიც მისი ჩაწოდებების წყალობით იქნა გატანილი (ორის ავტორია ახალგაზრდა თავდამსხმელი პიკოლე, ერთისაც — აბელი).

◆ ვარშავა, 21 სექტემბერი. ადგილობრივი „სკრის“ სტადიონის ტარტანისსაფარიან ბილიკზე ვარშაველმა სტუდენტმა — მომავალმა ეკონომისტმა, 22 წლის ტერეზა სუკნევიჩმა 100 მეტრზე თარჯრბენში კარინ ბალცერის (გდრ) მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 12,7 წამი.

◆ იჟევსკი, 21 სექტემბერი. ადგილობრივი მანქანათმშენებელი ქარხნის პრიზი ტრადიციულ მოტოკროსში მოიგო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. არბეკოვმა (მოსკოვი). მას მოტოციკლი „იჟ“ უბოძეს. II ადგილი დაიკავა უკრაინის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა. III ადგილზეა იჟევსკელი სპორტის ოსტატი ა. კოზირჩიკოვი. საერთო ჩათვლაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა.

## საბჭოთა აზერბაიჯანი 50 წლისაა

ინტერვიუ ტელეფონით

# საზეიმო განწყობილება

„ლელოს“ კორესპონდენტი გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს და ესაუბრა გაზეთ „სპორტის“ რედაქტორის მოადგილეს ა. ქიაზიმ-ზადეს. აი, რა თქვა ჩვენმა ბაქოელმა კოლეგამ:

— რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებთან, სოფლის მეურნეობის მუშაკებთან და ინტელიგენციასთან ერთად გაცხოველებით ემზადებიან დიდი იუბილეს — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისთვის.

ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება ბევრი საინტერესო სპორტული ღონისძიებაც, რომელთაგან ყველაზე მასობრივი და სანახაობრივად საინტერესო იქნება ცენტრალურ სტადიონზე გამართული დიდი ფიზკულტურული ზეიმი.

რესპუბლიკის სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი გამარჯვებები უძღვნან იუბილეს. უკვე მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩები სხვადასხვა სახეობაში.

დიდი მადლიერების გრძნობით შევხვდით ცნობას, რომ თბილისელები გულთბილად მასპინძლობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციას, რომელიც მონაწილეობს თქვენს დედაქალაქში გამართულ აზერბაიჯანის დღეებში.

# კურეში — ეროვნული თამაში

ამ დღეებში მთელს საბჭოთა კავშირში წარმატებით ტარდება ხალხთა სპარტაკიადები. ასპარეზობენ მძლეოსნები და მოცურავეები, მსროლელები და კალათბურთელები, მოკრივეები და სხვა, ფართოდ გავრცელებული სახეობების წარმომადგენლები.

მაგრამ აი, თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სასოფლო რაიონში ამ ზაფხულს დავესწარი შეჯიბრებას, რომელიც რუსეთის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადას მიეძღვნა. მშვენიერი ზეიმი იყო: მორბენლები ახალაგებული სტადიონის წიდოვან ბილიკზე ცდიდნენ ძალას, სარბიელზე გამოვიდნენ მხატვრული ტანვარჯიშის სკოლის მოსწავლე გოგონები, დასასრულს კი ფეხბურთელთა მატჩიც შედგა. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ წასვლას არავინ ფიქრობდა. პირიქით, მომეჩვენა, რომ ტრიბუნებზე ხალხმა იმატა.

— რა ხდება? — ვკითხე ჩემს მეზობელს, წარსულში ცნობილ ძალოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. კურინოვს.

კურინოვმა გაიღიმა:

— გეტყობათ იშვიათი სტუმარი ხართ ამ მხარეში. ახლა ყველაზე საინტერესო სანახაობა იწყება.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფეხბურთის მინდვრის მწვანე ხალიჩაზე საყვირებისა და დოლის ხმაზე მოჭიდავეები გამოვიდნენ. ტრიბუნები გამოცოცხლდა. სტადიონზე შეჯიბრების პირველი წუთებიდან ბოლომდე გუგუნი იდგა. ყველა მაყურებელს ესმოდა ასპარეზობის ყოველი წვრილმანი, იცოდა, რა ხდებოდა სარბიელზე.

— ამაში ჯასაკვირი არაფერია, — ამიხსნა კურინოვმა, რომელიც უკვე დიდი ხანია ცხოვრობს ამ მხარეში. — ეს შეჯიბრება ყველა დღესასწაულის აუცილებელი სამკაულია.

მაინც რა არის კურეში, რით განსხვავდება იგი ჭიდაობის სხვა, ყველასთვის კარგად ცნობილი სახეობებისგან?

წმინდა გამარჯვების მოპოვებისთვის, რასაც აქ განსაკუთრებით აფასებენ, მოჭიდავემ ცალ ხელზე დახვეული ხელსახოცით მხრებზე უნდა დააწვინოს მეტოქე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა მოსწყვიტოს მიწას. კიდევ ერთი მოთხოვნა: როცა მეტოქეს ძირს დასცემს, გამარჯვებული თავადაც უნდა დავარდეს ხალიჩაზე. სარმა და სხვა ამგვარი საშუალებები სასტიკად აკრძალულია.

ერთი სიტყვით, ხელსახოცებით ჭიდაობა — კურეში მეტოქეებისგან მოითხოვს ძალას, მოქნილობას, მოძრაობის უზუსტეს კოორდინაციას და სხვა მრავალ სპორტულ თვისებას.

ახლა რესპუბლიკის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაშია ჩამოყალიბებული კურეშის სექციები. სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები ეროვნულ ჭიდაობაში, ჰყავთ თავიანთი ჩემპიონები. მარტო ამ გაზაფხულს კურეშის ოსტატთა 2250 სხვადასხვა ტურნირი ჩატარდა.

თათრეთში აქვთ დიდი ეროვნული დღესასწაული — საბანტუი. ეს მშრომელი ხალხის ზეიმია, რომელშიც მთელი სოფელი და მთელი ქალაქი მონაწილეობს ხოლმე. და არც ერთი ეს დღესასწაული კურეშში, შეჯიბრების გარეშე არ ტარდება. გამარჯვებულებს ესალმებიან, სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემენ. აქვთ ტრადიციული მთავარი პრიზები: ქალიშვილების ნაქარგი ხელსახოცი და... ცოცხალი ცხვარი, რომელიც ჩემპიონმა თავად, ხელით უნდა გაიტანოს მოედნიდან.

წინათ საბანტუი კურეშის ოსტატთა თავშეყრის ერთადერთი საბაბი იყო, მაგრამ ის დრო დიდი ხანია წავიდა. ახლა კურეშში პირველობებს ყოველწლიურად აწყობენ ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში, ყველა სასწავლებელში. კურეში ფაბრიკა-ქარხნების სპარტაკიადების პროგრამაშიც შედის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებული მოჭიდავეები თავს იყრიან რესპუბლიკურ პირველობაში, რომელსაც სასოფლო საზოგადოება „უროჟაი“ აწყობს და ატარებს. ეს შეჯიბრებები, როგორც წესი, სტადიონზე ტარდება, რადგან თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ყაზანში ვერც ერთი შენობა ვერ დაიტევს სახალხო გოლიათთა ასპარეზობის ნახვის ყველა მსურველს. სპორტსმენები იბრძვიან პოეტი პატრიოტის, საბჭოთა კავშირის გმირის მუსა ჯალილის პრიზისთვის, რომელიც გაზეთმა „სოციალისტიკ ტატარსტანმა“ დააწესა. სხვათა შორის, გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება არა მარტო ამ შეჯიბრებების ანგარიშები, არამედ მასალებიც ეროვნული ჭიდაობის განვითარების ისტორიიდან, ნარკვევები კარგ სექციებზე და სპორტსმენებზე. საუკეთესო მოჭიდავეებს ახლა სპორტის ოსტატის წოდებასაც ანიჭებენ ამ სახეობაში.

რესპუბლიკას ბევრი ნიჭიერი ათლეტი ჰყავს. ხშირად კურეშის ოსტატები დიდ სპორტში იკაფავენ გზას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი: ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში ზედიზედ სამი წლის მანძილზე კურეშში პირველი მოჭიდავის სახელი არავის დაუთმო ტრაქტორისტმა ვიქტორ კუზნეცოვმა. მას არც არმიაში სამსახურის დროს დაუნებებია თავი საყვარელი სახეობისთვის — სპორტის ოსტატი გახდა ჯერ კლასიკურ ჭიდაობაში, შემდეგ კი სამბოში. მალე კუზნეცოვმა სამბოში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა და ევროპის პირველობაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ძიუდოში.

— ყველაფერი კურეშით დაიწყო, — ამბობს ვიქტორი. — რა კარგია, რომ დავიბადე მხარეში, სადაც ჭიდაობის ეს სახეობა ასე უყვართ.

კუზნეცოვი გამონაკლისი როდია. სპორტში დიდი წარმატებები მოიპოვა თათრეთის მიწაზე დაბადებულმა და აღზრდილმა ათობით სხვა ფალავანმა.

ლ. ბორისოვი.

## სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით

### ყველა პირობა აქვთ შექმნილი

ორ თვეზე მეტ ხანს გასტანა რაიონის სპარტაკიადამ, რომელიც სპორტის 7 სახეობაში ჩატარდა. კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელები გ. გვარჯალაძე და ქ. ინწკირველი). II ადგილი წილად ხვდა მალაროთა სამმართველოს. აბრეშუმის ფაბრიკის წარმომადგენლები III ადგილს დასჯერდნენ.

სახეობათა მიხედვით უძლიერესის სახელი მოიპოვეს: კლასიკურ ჭიდაობაში — ბავშვთა სპორტსკოლამ, თავისუფალ ჭიდაობაში, კალათბურთში (ვაჟები), ხელბურთში, ძალოსნობასა და მძლეოსნობაში — ლაითურელებმა, ფრენბურთში (ვაჟები) — ნატანების კოლმეურნეობის გუნდმა, კალათბურთსა და ფრენბურთში (ორივე — ქალები) — მახარაძის სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენებმა.

ამჟამად რაიონის ნაკრები გუნდები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს სსრ საიუბილეო სპარტაკიადისთვის. ეს საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზეც განიხილეს. ფიზკულტურის კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს რაიონში ნაკრები გუნდების მომზადებას და აქტიურად მონაწილეობას ზონალურ სპარტაკიადაში. ახლა ნაკრებ გუნდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი ვარჯიშისთვის.

თ. კიზინაძე,
მახარაძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# იყავ მზად სამშობლოს დასაცავად!

20 სექტემბერს თბილისის ლენინის რაიონის კომკავშირის კომიტეტის, სამხედრო კომისარიატის, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და დოსააფის კომიტეტის თაოსნობით „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რაიონის წვევამდელთა III სპარტაკიადა.

სარბიელზე გამოვიდნენ საწარმოდაწესებულებათა და საშუალო სკოლების წვევამდელები.

პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრებები 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და ლერძზე აზიდვაში. სახეობების მიხედვით გაიმარჯვეს: სიგრძეზე ხტომაში — ავჭალის შუშის ქარხნის წარმომადგენელმა ნ. ადეიშვილმა (580 სმ), ხელყუმბარის ტყორცნაში — ვ. ძეგლოგაშვილმა (67,80 მ), ლერძზე აზიდვაში — ნ. გაგუნაშვილმა (22-ჯერ; ორივე — 26-ე პროფტექნიკური სასწავლებელი), 200 მეტრზე რბენაში — 133 ე საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ი. პლიევმა (12,6).

შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან 26-ე და 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლების, ელმავალმშენებელი ქარხნისა და 133-ე საშუალო სკოლის წვევამდელები.

ზ. კუტალაძე,
ლენინის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის მონაწილეთა ალლუმი; 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ი. პლიევი; ერთმანეთს ხვდებიან დოსააფის მოტობურთელთა I და II გუნდები.

მ. ზარგარიანის ფოტო.







ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 ფეხბურთი

## ფაქტები, გოლები, ციფრები

განვლილ შაბათს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ძალიან საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თამაში ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცსა" და კიევის „დინამოს" შორის. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა კიეველმა მუნტიანმა, მაგრამ პორკუიანმა და ნეჩაევმა ზედიზედ 2 გოლი გაიტანეს, ხოლო შესვენების შემდეგ სეკეჩმა მესამედ აიძულა დინამოელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

კიეველთა მთელი ცდა დამთავრდა მხოლოდ იმით, რომ კაშჩეიმ ერთ ბურთამდე შეამცირა განსხვავება. „ჩერნომორეცმა" მოიპოვა უაღრესად საჭირო გამარჯვება — 3:2.

ასეთივე მნიშვნელოვანი 2 ქულა აიღო „ზენიტმა" თავის მინდორზე „ფახთაქორთან" შეხვედრაში — 2:0 (ცოხი, ლოხოვი).

კვირას მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და როსტოვის არმიელთა გუნდი. მოსკოველთა უპირატესობა აშკარა იყო — 5:1. ბურთები გაიტანეს კოპეიკინმა (2), ფედოტოვმა, პოლიკარპოვმა და მასლიაევმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია ბუროვი.

ორჯონიკიძის „სპარტაკმა" შინ მიიღო „ზარია" და ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 0.0.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და „ნევთჩი".

### I ჯგუფი „ა" კლასი

## ერთი ქულა

თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში. ბოლო ტურებში მათ ზედიზედ რამდენიმე გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ ძლიერ მეტოქეებთან და ეს მატჩები საუკეთესოდ ჩაატარეს.

განვლილ ტურში, 19 სექტემბერს, თბილისის „ლოკომოტივი" ლენინგრადში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". დაძაბული თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

### II ჯგუფი „ა" კლასი

II ზონა

ვორონეჟი, 19 სექტემბერი. გორის „დილას" დღეს აქ კალენდარული მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „ტრუდთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1.

ლიპეცკი, 19 სექტემბერი. ადგილობრივი „მეტალურგისა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

სსრ კავშირის პირველობა

# უშედეგო ტერიტორიული უპირატესობა

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 19 სექტემბერი.

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 3:1 (3:1).

მოსკოვი: პილგუი, შტაპოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშტრეკოვი, კოზლოვი, ავრუცკი, უტკინი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე (მჭედლიშვილი), ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:2.

ჯერ გოლების შესახებ. მიმდინარეობდა მე-7 წუთი, როცა ევრიუჟიხინმა (იგი ამ მატჩში უმთავრესად ნახევარდაცვაში თამაშობდა) ზუსტად მიაწოდა ბურთი ავრუცკის. მოსკოველმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მოუგო საჰაერო ბრძოლა სტუმრების ტანმაღალ სტოპერებს და თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში—1:0.

მე-10 წუთზე ილიადიმ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მეტისმეტად სახიფათოდ დაარტყა და აიძულა პილგუი თავგანწირული ნახტომით ეხსნა თავისი კარი, კიდევ ერთხელ დაარტყა შორიდან და გოლი გაქვითა.

1:1—თამაშის დაწყებიდან კი სულ 10 წუთი იყო გასული. მაგრამ ტრიბუნებზე ჯერ არც მიწყნარებულიყო მაყურებელთა ხმაური, როცა მასპინძლებმა ისევ შეძლეს დაწინაურება: ევრიუჟიხინი ფლანგზე გაკიდა თითქმის პირით ხაზთან და მიაწოდა ცენტრში. ხურცილავა და კანთელაძე არ იდგნენ სწორ პოზიციაში, სტეფანია არ გამოვიდა კარიდან და ავრუცკიმ მეორედ, ისევ თავით გაიტანა გოლი — 2:1.

ტაიმი მიიწურა და მსაჯს ის-ის იყო შესვენების ნიშანი უნდა მიეცა, როცა ევრიუჟიხინმა მორიგი კომბინაცია წამოიწყო. მისგან ბურთი მიიღო კოზლოვმა, გადასცა ავრუცკის და... არბიტრმა ცენტრისკენ აჩვენა — 3:1.

როცა მოთამაშეს ერთ მატჩში 3 გოლი გააქვს, ამას საერთაშორისო საფეხბურთო ენაზე „ჰეტ-ტრიკი" ჰქვია. მაგრამ ავრუცკის დამსახურებას საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი: მან თავისი ეს „ჰეტ-ტრიკი" შეასრულა არა მთელი მატჩის მსვლელობაში, არამედ მხოლოდ შეხვედრის პირველ ნახევარში და ეს მაშინ, როცა წლევანდელი ჩემპიონატის ერთ მატჩშიც 3 ბურთი ჯერ არავის გაუტანია.

თბილისის „დინამომ" ეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა წააგო. გუნდს თავისი საზრუნავი აქვს და დასკვნებსაც გააკეთებს, მაგრამ ჩვენ, ამ მატჩის მაყურებლებმა, სრული ობიექტურობით უნდა ვთქვათ, რომ თამაში იყო ძალიან საინტერესო, შინაარსიანი, დაძაბული ბრძოლით აღსავსე და სტუმრებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ ავრუცკის მიმართ, ეჭვი არაა, ანგარიში სულ სხვა იქნებოდა.

საერთო ტერიტორიული უპირატესობა, უდავოდ, თბილისელებს ჰქონდათ. ისინი გაცილებით მეტ ხანს ფლობდნენ ბურთს, მათი ნახევარმცველები აქტიურად, გაშლილად მოქმედებდნენ, წინა ხაზზე შეუდარებელი იყო მეტრეველი. სახიფათო მომენტები მოსკოველთა კართან მრავლად შეიქმნა, მაგრამ მასპინძლებმა უკეთ შეძლეს თავიანთი კონტრიერიშების გამოყენება, ამასთან, კარგად ისარგებლეს თბილისელთა მცველების სუსტი, შეუთანხმებელი თამაშით.

ვ. პავლოვი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### უმაღლესი ჯგუფი „ა" კლასი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 24 | 13 | 6 | 5 | 34—16 | 32 |
| ცსკა | 23 | 13 | 4 | 6 | 36—15 | 30 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 10 | 10 | 4 | 38—20 | 30 |
| „დინამო" (კიევი) | 25 | 12 | 4 | 9 | 28—22 | 28 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 24 | 9 | 10 | 5 | 24—20 | 28 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 10 | 7 | 6 | 30—20 | 27 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 24 | 9 | 9 | 6 | 25—25 | 27 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 24 | 6 | 13 | 5 | 21—20 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 23 | 9 | 6 | 8 | 22—22 | 24 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 22 | 7 | 9 | 6 | 20—14 | 23 |
| „დინამო" (მინსკი) | 24 | 7 | 9 | 8 | 26—23 | 23 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 25 | 6 | 9 | 10 | 17—37 | 21 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 24 | 7 | 6 | 11 | 25—43 | 20 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 25 | 4 | 10 | 11 | 17—25 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 6 | 6 | 12 | 20—35 | 18 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 23 | 5 | 7 | 11 | 18—29 | 17 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 25 | 4 | 7 | 14 | 22—37 | 15 |

## 19 სექტემბერს

გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე. შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — ასკ (კიევი) 4.1, „დაუგავა" (რიგა) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 4.1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ალგა" (ფრუნზე) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 0.2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პამირი" (დუშანბე) 4.2, „რუბინი" (ყაზანი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1.0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 4:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:1, „ყაირათი" (ალმაათა) — „კარპატი" (ლვოვი) 1:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:0.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს მინსკის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" კალენდარული შეხვედრის სტატისტიკური მონაცემები.

მინსკი. „დინამოს" სტადიონი. 18 სექტემბერი.

„დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (0:0).

„დინამო": ხკოკოვი, კუზნეცოვი, გრებნევი, გირკო, სემიონოვი, ვორონინი (ფოკინი), კურნევი, ვოლოხი, ვასილიევი, მალოფეევი, სახაროვი (ტოლეიკო).

„ტორპედო": გოგია, შერგელაშვილი, წვერავა, ებრალიძე, ჭოხონელიძე, ჩხაიძე, ოქროპირაშვილი, ვეკუა, ჩიტაური (ერქომაიშვილი), ხერხაძე, ანფიმიადი.

გოლი — სახაროვი (70-ე წ.).

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „დინამოს" სახარგებლოდ.

### „ბ" კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

17 სექტემბერს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „კახეთი" (თელავი) 1:2, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 1:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 0:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „მეტალურგი" (კრასნი სულინი) 1:1.

ვანის „სულორს" მოგება მიეკუთვნა გურჯაანის „ალაზანთან".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 24 | 14 | 6 | 4 | 30—15 | 34 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 24 | 12 | 7 | 5 | 35—18 | 31 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 26 | 7 | 16 | 3 | 30—19 | 30 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 25 | 10 | 9 | 6 | 35—21 | 29 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 26 | 8 | 13 | 5 | 28—24 | 29 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 21 | 12 | 4 | 5 | 35—20 | 28 |
| „კახეთი" (თელავი) | 24 | 12 | 4 | 8 | 34—29 | 28 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 23 | 8 | 10 | 5 | 23—16 | 26 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 22 | 8 | 8 | 6 | 31—17 | 24 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 24 | 6 | 11 | 7 | 29—27 | 23 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 24 | 8 | 7 | 9 | 16—20 | 23 |
| „სულორი" (ვანი) | 26 | 8 | 6 | 12 | 24—43 | 22 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 24 | 6 | 8 | 10 | 18—24 | 20 |
| „დინამო" (სოხუმი) | 27 | 5 | 10 | 12 | 22—32 | 20 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 24 | 7 | 5 | 12 | 22—44 | 19 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 26 | 5 | 6 | 15 | 22—43 | 16 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 24 | 3 | 8 | 13 | 11—31 | 14 |

ჩვენი კორესპონდენტი გ. ალშიბაია ზუგდიდიდან გვატყობინებს:

## დოსააფელთა ლაშქრობა

ზუგდიდის დოსააფის მესვეურთა თაოსნობით ამას წინათ მოეწყო სარაიონთაშორისო ლაშქრობა მარშრუტით: ზუგდიდი — ხობი. სტარტზე გამოვიდნენ ზუგდიდის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების დოსააფის ნაკრები ავტო-მოტოგუნდები.

გაჩაღდა საინტერესო ბრძოლა. ავტოსპორტში იმარჯვა ზუგდიდის რაიონის გუნდმა. II ადგილი ზუგდიდელებს ხვდათ. პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ჟ. ხასიამ (ზუგდიდის რაიონი). მეორე იყო კ. ნარსია (ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კონტორა), მესამე — ვ. ქოროსანიძე (ზუგდიდის რაიონის ავტო-მოტოკლუბი).

მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა ხობის რაიონის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდის დოსააფელები. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ო. ჩარტია (ხობი). II ადგილზეა ა. პაპავა (ზუგდიდი), III — კ. კიზირია (ხობი).

შეჯიბრებას თავი აარიდეს ცხაკაიას, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების დოსააფის კომიტეტებმა.

## ორივე ტირი გააუქმეს

ზუგდიდელ ახალგაზრდებს ხშირად ნახავდით დოსააფის საქალაქო კომიტეტის ორივე ტირში. სროლაში ვარჯიში სახალისოც იყო და სასარგებლოც. მიუხედავად ამისა, ორივე ტირი გააუქმეს, თუმცა ისინი საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ.

ჯერ გააუქმეს № 2 ტირი, რომელიც საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მიზეზად რეკონსტრუქცია დაასახელეს, მერე კი ტირის ადგილზე სამრეწველო საქონლის მაღაზიის შენობა წამოჭიმეს.

დიდი დრო არ გასულა და დაიხურა № 1 ტირიც, რომელიც კინოთეატრ „საქართველოს" მეზობლად იყო.

რატომ მოიქცნენ ასე, არავინ იცის.

რა თქმა უნდა, დოსააფის მესვეურებმა ქალაქის ხელმძღვანელებს მიმართეს დახმარებისთვის, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

# „ეგრისი" — მეოთხედფინალში

ცხაკაია. ქალაქის სტადიონი. 19 სექტემბერი.

„ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (ლენინგრადი) 3:1 (0:0).

„ეგრისი": გაბუნია, ჯახაია, ზანინი, კვიტაიშვილი, ახალაია, ბ. დარასელია, გ. დარასელია, დეკანოიძე, ნიკოლაიშვილი, ძაგანია, ქაჩიბაია.

„დინამო": ანდრეევი, ზიჩინი, ვეტიროევი, მატვეევი, ჩერვიაკოვი, ახმადულინი, ეკიტოვი, ტიმოშენკო, კროკოვი, მატკევიჩი, სუხარევი.

მსაჯი ვ. ივანიცკი (სიმფეროპოლი).

ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალურმა მატჩმა ცხაკაიას „ეგრისისა" და ლენინგრადის „დინამოს" შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშის სანახავად დიდძალი მაყურებელი ჩამოვიდა ახლომდებარე რაიონებიდან. ამინდიც მშვენიერი იყო.

უკვე მე-3 წუთზე მასპინძელთა კარი აშკარა ხიფათის წინაშე აღმოჩნდა: ერთ-ერთი ლენინგრადელი თავდამსხმელის ძლიერად დარტყმული ბურთი ძლივს მოიგერია გაბუნიამ, მაგრამ მისი ნახტომის შემდეგ კარი ღიად დარჩა. ხელმეორე დარტყმისას კარის ხაზზე აღმოჩნდა ჯახაია, რომელმაც თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. ამის შემდეგ ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ წარმატებას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია და პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. პირველ წარმატებას მიაღწია ძაგანიამ, რომელმაც რამდენიმე მცველთან ბრძოლაში შეძლო ზუსტად დარტყმა — 1:0.

დინამოელებმა 65-ე წუთზე გაქვითეს ანგარიში, მაგრამ შემდგომში უპირატესობა მთლიანად „ეგრისის" მხარეს გადავიდა: ჯერ გ. დარასელიამ, მერე კი ძაგანიამ გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

„ეგრისი" თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

[illegible]

◆ ჩოხატაური

რაიონის ლელობურთელთა პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურისა და გორაბერეჟოულის კოლმეურნეობათა გუნდები. მატჩი ჩოხატაურელთა გამარჯვებით დამთავრდა.

დ. გურგენიძე.
სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# სპასკიმ ფიშერს მოუგო

ზიგენი, 20 სექტემბერი. XIX საჭადრაკო ოლიმპიადაში გადადებული პარტიების დამთავრებისას გაირკვა სსრ კავშირი—უნგრეთის გუნდების შეხვედრის (V ტური) საბოლოო ანგარიში — 2:2. ოთხივე პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამერიკელებმა ყაიმით (2:2) დაამთავრეს შეხვედრა კანადელებთან (ფიშერს ამ დღეს არ უთამაშია) და მოუგეს ბულგარელებს — 3,5:0,5.

5 ტურის შემდეგ უნგრეთისა და აშშ-ს გუნდებს 12,5-12,5 ქულა ჰქონდათ, სსრ კავშირის ნაკრებს — 12.

VI ტურში შედგა ოლიმპიადის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა — სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდების მატჩი. ზიგენს დიდძალი მაყურებელი მოაწყდა ახლომდებარე ქალაქებიდან და სოფლებიდან. რა თქმა უნდა, ყველას მსოფლიო ჩემპიონის სპასკისა და ფიშერის პარტია აინტერესებდა. მოლოდინი გამართლდა: დიდოსტატებმა უკიდურესობამდე დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს.

მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს. სპეციალისტებმა გაიხსენეს, რომ 1966 წელს სანტა-მონიკას (აშშ) საერთაშორისო ტურნირში ფიშერმა სპასკის წინააღმდეგ იგივე სისტემა აირჩია. ბრძოლა მაშინაც საინტერესოდ წარიმართა. ამჯერად ამერიკელმა დიდოსტატმა სიახლე გამოიყენა და სპასკი რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონი ღრმად ჩასწვდა ფიშერის ჩანაფიქრს, მოუნახა ხარვეზი და ენერგიული თამაშით ინიციატივას დაეუფლა. ენდშპილში მან შესანიშნავად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. ეს არის ფიშერის პირველი დამარცხება ოლიმპიადაში.

ამ დღეს სსრ კავშირის გუნდში სპასკის გარდა თამაშობდნენ პეტროსიანი, პოლუგაევსკი და გელერი. სსრ კავშირის [illegible] პეტროსიანი რეშევსკის [illegible] სვლაზე მეტოქეს დაზავდნენ. დანარჩენი ორი პარტია უაღრესად დაძაბული იყო.

პოლუგაევსკი დიდოსტატ ევანსს ხვდებოდა. საბჭოთა მოჭადრაკემ თამაში ვერააწყო და ინიციატივა დათმო. ამერიკელმა საუცხოოდ გამოიყენა მოგებაზე თამაშის შანსი და უპირატესობასაც მიაღწია. პარტია გადაიდო, მაგრამ პოლუგაევსკის პოზიცია მეტად მძიმეა.

დიდოსტატმა ლომბარდიმ შუა თამაშში გელერს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ საბჭოთა მოჭადრაკემ წინადადება არ მიიღო. მომდევნო ბრძოლაში გელერმა ხარისხი შესწირა, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი შეიძინა. მოულოდნელად ლომბარდი უხეშად შეცდა და პაიკი დაკარგა. ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მეტოქენი ცაიტნოტში მოექცნენ. აჩქარებულ თამაშში გელერმა მდგომარეობა გამოასწორა. ეს პარტიაც გადაიდო. მხოლოდ გულდასმით ანალიზს შეუძლია დაუსვას დიაგნოზი შეწყვეტილ პოზიციას.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 1,5:0,5 საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: არგენტინა — ესპანეთი 3:1, უნგრეთი — გფრ 2,5:1,5, გდრ — ბულგარეთი 2:2, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 1:1 (2 პარტია გადაიდო), კანადა — რუმინეთი 1,5:0,5 (2).

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: უნგრეთი — 15 ქულა, სსრ კავშირი — 13,5 (2), აშშ — 13 (2).



## ოლიმპიადის ირგვლივ

### შეცდომის ბრალია

ინგლისისა და ანდორის გუნდების მატჩში ბრიტანელებს ფინალში გასვლის შანსი ჰქონდათ, როცა მათი გუნდის ლიდერმა, საერთაშორისო ოსტატმა პენროუზმა უხეში შეცდომით ფიგურა დაკარგა. ამ ამბავმა ისე იმოქმედა პენროუზზე, რომ მას... გული წაუვიდა. საჭირო შეიქნა სასწრაფო დახმარების გამოძახება. ინგლისელი გონს მხოლოდ ჰოსპიტალში მოვიდა, მაგრამ პარტიას, ცხადია, უკვე აღარაფერი ეშველებოდა.

### უხუცესი სტუმარი

ოლიმპიადის მესვეურებმა ზიგენში მიიწვიეს უხუცესი ამერიკელი საერთაშორისო ოსტატი ედუარდ ლასკერი, რომელიც ახლა 85 წლისაა. ეს ის ლასკერია, რომელმაც 1922 წელს ინგლისელ ოსტატ თომასს ლაზიერი შესწირა, მისი მეფე თავის ბანაკში გამოიტყუა და დაამამათა. „მარტო ეს პარტიაც რომ ეთამაშა თავის სიცოცხლეში, ლასკერი მაინც უკვდავი იქნებოდა“, — თქვა მ. ბოტვინიკმა.

### დედა ჩამოჰყვა

ანდორის გუნდის წევრი ენდი შერმანი ყველაზე უმცროსია ოლიმპიადის მონაწილეთა შორის. ცხადია, 11 წლის ბიჭუნას ზიგენში დედა ჩამოჰყვა.

### ასეც მოხდა

ზიგენი პატარა ქალაქია, მაგრამ იქაც ყოფილან თავზეხელაღებული მძღოლები. დიდი სისწრაფით მიმავალი ერთ-ერთი მანქანა ქუჩაში ჩეხოსლოვაკიელ ოსტატ უიტელკის დაეჯახა. დაშავებული სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. საბედნიეროდ, ოსტატის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

### როგარდი გაცხარდა

ოლიმპიადის სტარტამდე ფიშერმა ფიდე-ს პრეზიდენტს ფ. როგარდს სთხოვა მიეღო იგი. საუბარმა თითქმის ორ საათს გასტანა. ამერიკელმა პრეზიდენტს მოთხოვნათა გრძელი სია წარუდგინა, მაგრამ როგარდი მკაცრი აღმოჩნდა და მთხოვნელს უთხრა: ოლიმპიადის 360 მონაწილის მოთხოვნები რომ ვარჩიო, შეჯიბრება გაისამდე არ დაიწყებაო.

მაგრამ მან ფიშერს ორი თხოვნა მაინც აუსრულა: ამერიკელის სათამაშო მაგიდა კარგად განათებულ ადგილზე გადაადგმევინა და ნება მისცა არ ითამაშოს პარასკეობითა და შაბათობით რელიგიურ მოსაზრებათა გამო.

### გულკეთილობა

ამერიკელ მოჭადრაკეთა მატჩი საბჭოთა დიდოსტატებთან პარასკევსა და შაბათს რომ დაემთხვეს, აშშ-ს გუნდი შესუსტებული შემადგენლობით გამოვა: მასში არ იქნებიან ფიშერი და რეშევსკი. ეს საბჭოთა გუნდისთვის ხელსაყრელი იქნებაო, ამბობდნენ ოლიმპიადის კულუარებში. „ჩვენ ხელს შევუწყობთ მეტოქეებს, რომ უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანონ: ამერიკელებს შევხვდებით მაშინ, როცა მათი სურვილი იქნება“, — განაცხადეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა. როგორც იცით, ეს აღარ გახდა საჭირო.

# დაბრუნება

## ოლიმპიური ჩემპიონის გ. პროზუმენშჩიკოვა-სტეპანოვას ინტერვიუ

ბარსელონის ევროპულ ჩემპიონატში ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. სტეპანოვამ (პროზუმენშჩიკოვა) ოქროს ორი მედალი მოიგო 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე ბრასით ცურვაში. იგი თითქმის ორი წლის მანძილზე არ გამოსულა სარბიელზე, მაგრამ კვლავ ლიდერის ადგილი დაიკავა მსოფლიოს უძლიერეს ბრასისტ ქალთა შორის.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ვ. კალიადინი შეხვდა გ. სტეპანოვას და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.

● მეხიკოს ოლიმპიური ტურნირის შემდეგ თქვენ წლევანდლამდე არ გამოსულხართ სარბიელზე. რა იყო ასე დიდი შესვენების მიზეზი?

— მეხიკოდან დაბრუნების შემდეგ გავთხოვდი. ჩემი მეუღლე — ვლადიმერ სტეპანოვი პროფესიით ინჟინერია, ერთ-ერთი საპროექტო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს. შარშან სექტემბერში ქალიშვილი შემეძინა, ირინა დავარქვით. ბუნებრივია, ვარჯიშის მიტოვება მომიხდა. როცა საზრუნავმა ცოტა იკლო, ისევ აუზს მივაშურე და უკვე აპრილში რეგულარულად დავიწყე სპორტში მეცადინეობა.

● ვინ უვლიდა თქვენს პატარას მთელი ამ დროის მანძილზე?

— დედა რომ არა, რომელიც სევასტოპოლიდან ჩამოვიდა ჩვენთან, ალბათ კიდევ მომიხდებოდა დაცდა და წყლის ბილიკზე უფრო მოგვიანებით დავბრუნდებოდი. ბებია ძალიან ცდილობდა, რომ შვილიშვილს მზრუნველი ხელი არ დაჰკლებოდა, სანამ მე ვვარჯიშობდი. რასაკვირველია, ჩემი მეუღლეც მთელ თავისუფალ დროს საოჯახო საქმეებს უთმობდა, ხოლო, როცა საჭირო გახდა ჩემი გამგზავრება ლვოვში სსრ კავშირის ჩემპიონატში სავარჯიშოდ, მან შვებულება აიღო, რომ ჩემს მშობლებს დახმარებოდა გოგონას მოვლაში. თვით იგი ურიგო სპორტსმენი როდია და უდრტვინველად იტანს ჩვენს ხანგრძლივ განშორებებს. მშვენივრად ესმის, რომ დიდი სპორტი გარკვეულ დათმობას მოითხოვს.

● თქვენ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ხართ. იმოქმედა თუ არა გათხოვებამ სწავლაზე?

— უდავოდ. ერთდროულად სამი კურდღლის მოკვლა ვერ შევძელი. იძულებული გავხდი აკადემიური შვებულება ამეღო. მაგრამ მაინც ვპოულობდი ცოტაოდენ დროს, რათა დანაკარგი აღმედგინა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე რამდენიმე გამოცდა ჩავაბარე.



● კვლავინდებურად გიტაცებთ ჟურნალისტიკა?

— დიახ. მე ხშირად ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან სპორტიდან წასვლა მომიწევს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ მოვახერხებ ამას. ხოლო თუ სპორტული ჟურნალისტი გავხდები, კვლავ სპორტული მოვლენების სფეროში აღმოვჩნდები. ალბათ, ასეთი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ჩვენი ცნობილი ჩოგბურთელი ნ. ოზეროვი, ამასვე ფიქრობდნენ სხვა სპორტსმენებიც, რომლებმაც სარბიელის დატოვების შემდეგ ჟურნალისტის პროფესია აირჩიეს.

● ვიმედოვნებ, რომ თქვენს ჟურნალისტურ წარმატებებს ახლო მომავალში შევიტყობთ. ახლა კი გვიამბეთ, როგორ შეძელით ასეთი დიდი შესვენების შემდეგ წყლის სარბიელზე გამარჯვების მოპოვება?

— ერთი პატარა საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ. რაც ირინა შემეძინა, ძალიან გავხდი. ასე გამიღიმა ბედმა და მე მოვიცილე მრისხანე მეტოქე — ზედმეტი წონა, რომელიც ბოლო წლებში კვალდაკვალ დამსდევდა. ამან საშუალება მომცა გაზაფხულზე ეფექტურად მემუშავა საერთო ფიზიკური მომზადებისთვის. სანამ წყალში ვარჯიშს დავიწყებდი, ბევრს ვვარჯიშობდი დარბაზში და სტადიონზე. პროგრამაში მქონდა კროსი, კალათბურთი და ფეხბურთიც კი, არ ვივიწყებდი შტანგასა და ტანვარჯიშულ იარაღებს. როცა ვიგრძენი, რომ ფიზიკურად საკმარისად მოვემზადე, აუზში საწვრთნელ ვარჯიშებზე გადავედი. თავიდან დღეში ერთხელ, ხოლო შემდეგ ორჯერ ვცურავდი შესაბამისად 6000 და 12000 მეტრზე. საინტერესოა, რომ ბევრ მონაკვეთს ვარჯიშის დროს ახლა უფრო სწრაფად ვფარავდი, ვიდრე უწინ. ამან დამარწმუნა, რომ მომავალი დებიუტი კარგი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ წამყვანი ბრასისტი ქალების შედეგებში ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ამ ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნეოდა.

● რით ხსნით ამას?

— უპირველეს ყოვლისა, თაობათა ცვლით. ჩვენში გამოჩნდნენ ახალგაზრდა ბრასით მოცურავეები, მაგალითად, გ. ბარკაუსკაიტე, ლ. რუსანოვა, ვ. ბოიცოვა, ნ. კარაკულოვა. საკმარისი გამოცდილების შეძენის შემდეგ ისინი აუცილებლად მაღალ შედეგებს მოაპოვებენ. დროებითი შეფერხების მეორე მიზეზი ბრასის ტექნიკის გარკვეულ კონსერვატიზმში მდგომარეობს. ცურვის ამ ხერხის სარეკორდო მიღწევების უმეტესობა ხომ სტილის მეტამორფოზებით აიხსნება. მაგალითად, საკმარისი იყო, ბრასისტებს ცურვის დროს უფრო გვიან ამოსუნთქვა ესწავლათ და რეკორდების სიუხვემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, მომავალი ოლიმპიადისთვის ნოვატორები კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას.

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 19 სექტემბერი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალურმა მატჩმა ადგილობრივი „სპარტაკისა“ და იიგლავის „დუკლას“ (ჩეხოსლოვაკია) ჰოკეისტთა გუნდებს შორის. სპარტაკელებმა შინ უფრო დიდი ანგარიშით (8:2) დაამარცხეს მეტოქე და ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტ ორ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა გუნდები — ცსკა და „სპარტაკი“.

● ბუდაპეშტი, 20 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრიის, პოლონეთის, ფინეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასპარეზობა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონთა წარმატებით აღინიშნა: მოზრდილებში გაიმარჯვა კელემენმა, ხოლო ჭაბუკებში — ვილანიმ (ორივე — უნგრეთი). კელემენმა 4984 ქულა დააგროვა, II ადგილზე გასულმა ვილანიმ კი 4975. გუნდურ ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდათ უნგრეთის „ჩეპელის“ სპორტსმენებს — 14733 ქულა.

## 20 წლის შემდეგ

სოფია, 21 სექტემბერი. გუშინ ბულგარეთის რამდენიმე ქალაქში დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 2 ოქტომბრამდე გასტანს. ვაჟთა გუნდების ტურნირში 24 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი ქვეჯგუფში ტუნისის გუნდთან „მშრალი“ ანგარიშით მოიგო — 3:0 (15:3, 15:1, 15:0). ამ ქვეჯგუფში გამოდიან აგრეთვე მონღოლეთის, გვინეის, გდრ-ისა და კუბის წარმომადგენლები.

ფრენბურთელები დაყოფილი არიან ოთხ ქვეჯგუფად და თითოეულში ფინალში გასასვლელად 6 გუნდი იბრძვის. ამ უფლებას ყოველი ქვეჯგუფიდან 2 გუნდი მიიღებს. წინასწარი ტურნირების შემდეგ 8 ფინალისტი სოფიაში განაგრძობს პირველობისთვის ბრძოლას. გარდა ამისა, ცალ-ცალკე გათამაშდება IX-XVI და XVII-XXIV ადგილები.

ტურნირის პირველ დღეს მატჩების უმეტესობა გამარჯვებულთა დიდი უპირატესობით წარიმართა. ანგარიშით 3:0 მოუგეს: ბულგარელებმა — იტალიელებს, ბელგიელებმა — ისრაელის გუნდს, უნგრელებმა — აშშ-ს ნაკრებს, რუმინელებმა — ფრანგებს, იაპონელებმა — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს, პოლონელებმა — ვენესუელის გუნდს, გდრ-ის ნაკრებმა — კუბელებს.

ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:1. ასეთივე ანგარიშით სძლიეს პოლონელებმა ფინელებს და მონღოლებმა გვინეელებს.

იუგოსლავიელები მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ ირანელებთან შეხვედრაში. მატჩის ბედი იუგოსლავიელთა სასარგებლოდ მხოლოდ მეხუთე პარტიაში გადაწყდა.

ბულგარეთშივე ტარდება ქალთა გუნდების რიგით VI მსოფლიო ჩემპიონატიც, რომელიც 22 სექტემბერს იღებს სტარტს. შეჯიბრებაში მონაწილე 16 გუნდი ოთხ ქვეჯგუფადაა დაყოფილი. ფინალის საგზურებს აქაც მოიპოვებს 2-2 გუნდი, რომლებიც საბოლოოდ I-VIII ადგილებს გაითამაშებენ. დანარჩენები IX-XVI ადგილებისთვის იასპარეზებენ. ქალთა გუნდების ფინალური ტურნირი ვარნაში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ბულგარეთი 20 წლის წინათ მასპინძლობდა ევროპის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატებს, ახლა კი მსოფლიოს უძლიერეს ფრენბურთელებს შეხვდა სტუმართმოყვრულად.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 10565.